საქართველოს მთავრობის

დადგენილება №599

2017 წლის 29 დეკემბერი

ქ. თბილისი

„კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 თებერვლის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, „კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 თებერვლის №32 დადგენილებასა და ამ დადგენილებით დამტკიცებულ „კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს დებულებაში“ (www.matsne.gov.ge, 04/02/2015, 440050000.10.003.018416) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შეიქმნას კვლევებისა და ინოვაციების საბჭო (შემდგომში – საბჭო) შემდეგი შემადგენლობით:

გიორგი კვირიკაშვილი – საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საბჭოს თავმჯდომარე;

დიმიტრი ქუმსიშვილი – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, პირველი ვიცე-პრემიერი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

მიხეილ ჩხენკელი – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

მიხეილ ჯანელიძე – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, ვიცე-პრემიერი, საბჭოს წევრი;

მამუკა ბახტაძე – საქართველოს ფინანსთა მინისტრი, საბჭოს წევრი;

ზურაბ ალავიძე – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, საბჭოს წევრი;

თეა წულუკიანი – საქართველოს იუსტიციის მინისტრი, საბჭოს წევრი;

ლევან იზორია – საქართველოს თავდაცვის მინისტრი, საბჭოს წევრი;

დავით სერგეენკო – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, საბჭოს წევრი;

ლევან დავითაშვილი – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი, საბჭოს წევრი;

გიორგი ჩერქეზიშვილი – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, საბჭოს წევრი;

მარიამ ჯაში – საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;

რომან კაკულია – საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;

გიორგი ზვიადაძე – სსიპ – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;

გიორგი კვესიტაძე – სსიპ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, საბჭოს წევრი;

ნიკოლოზ გოგილიძე – სსიპ – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;

მანანა მიქაბერიძე – სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი, საბჭოს წევრი;

გიორგი ბაჩიაშვილი – ბიზნესწარმომადგენელი, შპს „ჯი სი ეფ პარტნიორების“ (თანაინვესტირების ფონდის) გენერალური დირექტორი, საბჭოს წევრი;

ლევან კილაძე – ბიზნესწარმომადგენელი, შპს „ლემონდუს“ დირექტორი, საბჭოს წევრი;

პაპუნა ტოლიაშვილი – ბიზნესწარმომადგენელი, შპს „სინერჯი ჯგუფის“ დირექტორი, საბჭოს წევრი;

გია დვალი – მეცნიერი, საბჭოს წევრი;

დავით ფრანგიშვილი – მეცნიერი, საბჭოს წევრი;

ზაზა შათირიშვილი – მეცნიერი, საბჭოს წევრი;

მერაბ კოკაია – მეცნიერი, საბჭოს წევრი;

ავთანდილ კასრაძე – სსიპ – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოს მდივანი.

2. კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს დებულების მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი:

„ზ) კოორდინაცია გაუწიოს ინოვაციური საქმიანობების შესახებ ანგარიშის მომზადებას და საქართველოს მთავრობას წარუდგინოს საქართველოში განხორციელებული და მიმდინარე ინოვაციური საქმიანობების და ამ მიზნით გამოყენებული ფინანსური რესურსების შესახებ წლიური ანგარიში ყოველი წლის თებერვალში.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**